

მედაფე და მედაირე
სიტყვათა ისტორიისათვის ქართულში

აღმოსავლურ ენებთან მრავალსაუკუნოვანი კონტაქტების შედეგად ქართული ენის ლექსიკურ ფონდში მნიშვნელოვანი რაოდენობით დამკვიდრდა აღმოსავლური წარმომავლობის სიტყვები.

ნაშრომში წარმოდგენილია მედაფე და მედაირე სიტყვათა ფორმობრივ-უკანტიკური ცვლილებები.

მე-დაფ-ე — daff: დოლის მსგავსი მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელიც პართიდად ორი სახეობისაა: მრგვალი ან ოთხკვერდა, გამოიყენება გასართობად (ლ. ლენი, 1867, გვ. 888); ტამბურინი, დაფი, გვერდი. მხარე (ზ. ბარანოვი, 1989, გვ. 256). ყურანში duff ფორმა დასტურდება „დაფის“, „დაირის“ მნიშვნელობით (ვ. გირგასი, 1881, გვ. 253). ი. ვულერსის (ი. ვულერსი, 1855, გვ. 884), ზ. ფრენკელის (ზ. ფრენკელი, 1886, გვ. 284), მ. ჰაშურისა (მ. ჰაშური 1995, გვ. 72) და მ. მოინის (მ. მოინი, 1996, გვ. 1540) აზრით, არაბულში daff არამეულიდან წამკვიდრდა. კ. ბროკელმანი თვლის, რომ სირიულში ის აქადური (a)dappu, dappu-დან მომდინარეობს (კ. ბროკელმანი, 1928, გვ. 162). ლ. ბუდაგოვის (ლ. ბუდაგოვი, 1869, გვ. 561), ვ. ბელკინისა (ვ. ბელკინი, 1975, გვ. 100) და ა. შირას ქარაუდით, duff „დაფი“, „დაირა“ სპარსული წარმომავლობისაა. ეს უკანასკნელი ქარაუდობს, რომ სპარსულში daf შესაძლოა არამეულიდან იყოს წასესხები (ა. შირა, 1980, გვ. 65); შდრ.: მედაფე - დაფის მკერელი (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 176). საბა დაფს ასე განმარტავს: ესე არს გრკალი, ცალთა მჟარეთა ეტრათი ქარავს საცემელად მროკავთათვის, რომელსა სპარსნი დაირას უწოდებენ, ხოლო დაფდაფსა ორსავე მჟარეს ეტრათი აქვს, რომელსა დაულს უწოდებენ (საბა, 1791, გვ. 204).

დაფი მუსიკალური ინსტრუმენტის მნიშვნელობით ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტში დასტურდება; მაგ.: თუშ: დაფაჲ - დოლი „მემრი ნეფეჲ დაფას მოხპარავს“; დაფ-ზურნაჲ - დაფა-ზურნა „იქთაყები წადიან სიმღერითა-ჲ დაფ-ზურნით“ (პ. ხუბუტია, 1969, გვ. 91). დაფის სინონიმებია: დაფლი, დოლი, დაფლი, დაბდაბი, დაფდაფი, ამბურა, დამბურა, ებანი, ბობლანი, ქოსი, ზაბილური, დალაბანდი (ა. ნეიმანი, 1978, გვ. 149).

„ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მასალების მიხედვით, დაფი პირველად X საუკუნის ძეგლში „მამათა სწავლანი“ დასტურდება. ეს ფაქტი საკვლევი ტერმინის არაბულის გზით შემოსვლას გვაუარაულებინებს.

ქართულში დაფს სპარსულიდან წასესხებად მიიჩნევენ: დ. ჩუბინაშვილი (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 430), იუსტ. აბულაძე (იუსტ. აბულაძე, 1916, გვ. 321) და მ. ანდრონიკაშვილი (მ. ანდრონიკაშვილი, 1996, გვ. 88). ი. აბულაძე მას არაბულ-სპარსული წარმომავლობის სიტყვად განიხილავს (ი. აბულაძე, 1914, გვ. 189). არაბულად არის ჩათვლილი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში.

მ. გაფაროვის აზრით, სპარსულში საანალიზო სიტყვა არაბულიდან არის წასესხები (მ. გაფაროვი, 1974, გვ. 341). def/tef არაბული წარმომავლობისად არის მიჩნეული თურქულ-რუსულ ლექსიკონში (1977, გვ. 212, 839).

დაფ ფუტესთან მიმართებაში უნდა განვიხილოთ მედაფდაბე ფორმა.

მე-დაფდაფ-ე ე. ლენის ლექსიკონში *daɟɟa* ზმნის მნიშვნელობაა „დაუკრა დოღზე, დაირაზე სწრაფად“, ხოლო *daɟɟafatun* იგივეა, რაც „დაფი“ (ე. ლენი, 1867, გვ. 888); შდრ.: დაფდაფი: საცემელი საკრავი, დოღი (ქეგლ). ინგილოურში „დოღის ხმის“ მნიშვნელობით დამფდამფ ფორმა გვხვდება (ნ. როსტიაშვილი, 1978, გვ. 68).

ი. ჯავახიშვილის აზრით, დაბდაბი თამარ მეფის პირველ ისტორიკოსს აქვს მოხსენებული იქ, სადაც ლაშა-გიორგის ბედზე არზრუმის მხარეს ლაშქრობაზეა საუბარი: „ვითარცა განთენდა, ჰკრეს ბუკთა და დაბდაბთა“ (ი. ჯავახიშვილი, 1938, გვ. 199). დაბდაბი „დოღის“, „დაფის“ სემანტიკით დასტურდება „ამირანდარეჯანიანში“, „ვეფხისტყაოსანში“, „შაჰ-ნამეში“, „რუსუდანიანში“ და სხვა ძეგლებში.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში დაფდაფი არაბული წარმოშობის სიტყვადაა ჩათვლილი. არაბული წარმოშობისად მიიჩნევენ აღნიშნულ ლექსემას ლ. კოტაშვილიც (ლ. კოტაშვილი, 1985, გვ. 69).

სპარსულში საკვლევი ლექსემა არაბული ნასესხობაა (შ. მონი, 1996, გვ. 1542). არაბიზმად წარმოადგენს მას თურქულშიც ლ. ბუდაგოვი (ლ. ბუდაგოვი, 1869, გვ. 552).

დამფდამფ ფორმაში მ ბგერა განვითარებულია; შდრ.: ბალი > მბალი (იმერ.), თასი > მთასი (ჯავახ.), სიწყნარე > სიმწყნარე (აჭარ.) და სხვა (ბ. ჯორბენაძე, 1998, გვ. 500). დაფდაფ- მიღებული უნდა იყოს დაფ- ძირის რედუბლიცირებით.

მე-დაირ-ე < *da'ira*: 1. წრე, გარშემოწერილობა, წრეხაზი; 2. ოლქი, მიდამო, არემარე; 3. სფერო, მიდამო; 4. წრე; 5. სერია; 6. დაწესებულება, უწყება; 7. მაჭული; 8. ბედისწერა, ბედის უკუღმართობა (ბ. ბარანოვი, 1989, გვ. 266); შდრ.: მედაირე — დაირის მკვრელი (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 696). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, დაირა — 1. ხის რკალზე ცალ მხარეს ტყავდაკრული საკრავი, რომელსაც ხელის ცემით ხმას გამოადებინებენ; 2. ამ საკრავის დაკვრა.

დაირას სპარსული წარმოშობის სიტყვად მიიჩნევენ საბა (საბა, 1991, გვ. 204) და დ. ჩუბინაშვილი (დ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 367). ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში დაირა სიტყვის წარმომავლობა მითითებული არ არის. აღნიშნული ლექსემის არაბულობა პირველად გ. წერეთელმა აღნიშნა (გ. წერეთელი, 1951, გვ. 74).

სპარსულში დადასტურებულ საკვლევ ლექსემას არაბული წარმოშობისად თვლიან ი. ვულერსი (ი. ვულერსი, 1855, გვ. 807) და შ. გაფაროვი (შ. გაფაროვი, 1974, გვ. 321).

daire-ს არაბული წარმომავლობა აქვს მითითებული თურქულ-რუსულ (1977, გვ. 205) და თურქულ-ქართულ (2001, გვ. 299) ლექსიკონებშიც.

ქართულ დაირა ფორმაში დაიკარგა გლოტალური ხშვა. საგრძნობლად დავიწროვდა საკვლევი ტერმინის სემანტიკაც; ის ფაქტი, რომ სპარსულში აღნიშნულ სიტყვას „მუსიკალური ინსტრუმენტის“ (ბ. მილერი, 1950, გვ. 336) სემანტიკა აქვს, რომელიც სრულიად ემთხვევა ამ სიტყვის ქართულ მნიშვნელობას, მის სპარსულის გზით შემოსვლას ადასტურებს.

ლიტერატურა

- ი. აბულაძე, 1914 - შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი გამოიცა ი. აბულაძის რედაქტორობით, თბ., 1914.
- იუსტ. აბულაძე, 1916 - შამ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, I, ტექსტი გამოცა და წინასიტყვაობა დაურთო იუსტ. აბულაძემ, თბ., 1916.
- მ. ანდრონიკაშვილი, 1996 - მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, II, ნაწილი I (შასალები ქართული ეტიმოლოგიური ლექსიკონისთვის), თბ., 1996.
- ხ. ბარანოვი, 1989 - Х.К.Баранов, Арабско-русский словарь, М., 1989.
- ვ. ბელკინი, 1975 - В.М.Белкин, Арабская лексикология, М., 1975.
- კ. ბროკელმანი, 1928 - С. Brockelmann, Lexicon Syriacum, Gottingae, 1928.
- ლ. ბუდაგოვი, 1869-1871 - Л.Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, Т. I - 1869, Т. II - 1871.
- მ. გაფაროვი, 1974 - М.А.Гаффаров, Персидско-русский словарь, М., 1974.
- ვეფხისტყაოსნის“ შასალები - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან-არსებული „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის სალექსიკონო ფონდი.
- ვ. გირგასი, 1881 - В.Гиргас, Словарь карабской хрестоматии и Корану, Казань., 1881.
- ი. ვულერსი, 1855-1864 - I. Vullers. Lexicon Persico-Latinum Etymologicum, Bonnæ ad Rhenum, T. I - 1855, T. II - 1864.
- თურქულ-რუსული ლექსიკონი, 1977 - Турецко-русский словарь (Авторы: А.Н.Баскаков, Н.П.Голубаева, А.Л.Кямилава и др.), М., 1977.
- თურქულ-ქართული ლექსიკონი, 2001 - თურქულ-ქართული ლექსიკონი, ტ. 1, 2001.
- ლ. კოტაშვილი, 1985 - ლ.კოტაშვილი, აღმოსავლური რეალიები ქართულ საზღვარ ზღაპრებში, თბ., 1985.
- ე. ლენი, 1863-1893 - E. W. Lane, Arabic-English Lexicon, New York, 1863-1893.
- მ. მოინი, 1996 - M. A. Mo'in, Persian Dictionary, Tehran, 1996.
- ა. ნეიმანი, 1978 - ა. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1978.
- ნ. როსტიაშვილი, 1978 - ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978.
- საბა, 1991-1993 - სულხან-საბა ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“, თბ., I - 1991, II - 1993.
- ზ. ფრენკელი, 1886 - S. Fraenkel, Die aramäischen Fremdwörter im Arabischen, Leipzig, 1886.
- ჭებელ - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, არნ. ჩიქობავას დაურთო რედაქციით, თბ., 1950-1964.
- დ. ჩუბინაშვილი, 1984 - დ. ჩუბინაშვილი, თბ., 1984.
- პ. ხუბუტია, 1969 - პ. ხუბუტია, თეზური კილო (ლექსიკა), თბ., 1969.
- ი. ჯავახიშვილი, 1938 - ი. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის პირობადი საკითხები, თბ., 1938.
- ბ. ჯორბენაძე, 1989 - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

LELA AVALIANI

ON THE HISTORY OF THE WORDS: *MEDAPE* AND *MEDAIRE*
IN THE GEORGIAN LANGUAGE

The paper discusses formal and semantic changes of the words: *medape* and *medaire* me-dap-e ←dapp: dapp - a percussive instrument similar to a drum; compare *me-dap-e*, a drum player. According to the materials of the Commission of Identifying Academic Text of the "The "Knight in the Panther's Skin" the word *dap-i* is first mentioned in the 10th c text "Teaching of Fathers." The fact suggests the emergence of the word from the Arabic Language. E. Len's dictionary says that *medapdap-e* comes from the verb form *dapdap* meaning playing the drum with quick tempo; and *dapdapatun* is the same as "dap-i" (E. Len). Compare: *dapdapi*, an instrument to beat on; drum. In Ingiloan dialect the word *damp-damp* means the sound produced by a drum. The development of *m* sound is common in some other Georgian dialects as well. Compare *bali/mbali* in Imeretian; *sitsqnare*→*simtsqnare* (Adjarian) etc. the word *dapdap* must have been derived through duplication of the root.

Me-dair-e, di-ira: 1. circle, circumference; 2. province, area; 3. sphere; 4. cycle; 5. series; 6. office institution; 7. real estate; 8. fate; ill fate. Compare *medaire* - a *daira* player.

In the Georgian word *daira* glottal closure has been lost. The semantics of the term has also become narrowed. The fact that the given word has the meaning of musical instrument with the same semantics as in Georgian attests its borrowing from the Persian Language.